

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში

განათლების როლი ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებაში

ცირკულარული ეკონომიკა წარმოებისა და მოხმარების მოდელია, რომელიც არსებული მასალებისა და საქონლის საზიარო სარგებლობას, იჯარას, მრავალჯერად გამოყენებას, შეკეთებას, სრულად განახლებას და გადამუშავებას ითვალისწინებს. ამ გზით საქონლის სასიცოცხლო ციკლი ხანგრძლივდება. ფაქტიურად, ეს ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებას გულისხმობს. ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელიც ბიზნესისთვის, საზოგადოებისათვის და გარემოსთვის სარგებლის მოტანას მოიაზრებს. წრფივი „აიღე-დაამზადე-გადააგდე“ მოდელისაგან განსხვავებით, ცირკულარული ეკონომიკა, თავისი არსით, აღდგენითი ხასიათისაა და მისი მიზანი სასრული რესურსების მოხმარებაზე დამოკიდებულებისაგან თანდათანობით განთავისუფლებაა. ცირკულარული განვითარება სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით პასუხისმგებლიანი წარმოება-მოხმარების მოდელია, რომელიც ცირკულარული მოდელის საფუძველზე მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. აღნიშნულის მიზანია ქვეყნები და მთლიანად საზოგადოება გახდეს უფრო მეტად ავტონომიური, მდგრადი და გარემოს რესურსებთან დაკავშირებულ საკითხთან ჰარმონიაში მოვიდეს.

სხვა სისტემური ცვლილებების მსგავსად, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. ამისათვის დაინტერესებულ მხარეთა არმიის ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. ყველა დონის სამთავრობო უწყებებმა, ბიზნესსექტორმა, გამომგონებლებმა, აკადემიურმა სფერომ, ინვესტორებმა და მოხმარებლებმა ამ პროცესში მკაფიო როლი უნდა ითამაშონ და მას ხელი უნდა შეუწყონ. უნივერსიტეტებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს ცირკულარული ბიზნესების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მათი მთავარი ამოცანა უნდა იყოს წარმატებით მოამზადონ სხვადასხვა დარგის ექსპერტები, რომელთაც დასაბუთებული, ინვესტიციისთვის მიმზიდველი, განვითარების გრძელვადიან ხედვასა და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიაზე მორგებული ცირკულარული ბიზნესმოდელებისა და პროექტების სწორად განსაზღვრა, კონცეპტუალური დამუშავება და განვითარება შეეძლება. ამ ექსპერტებს პროექტების ეკონომიკური მომგებიანობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის თაობაზე რჩევები მოცემა და აღნიშნული მაჩვენებლების გაუმჯობესება შეეძლება; ამას გარდა, მათ შეეძლება მიწოდების ჯაჭვში ურთიერთთანამშრომლობის სქემები თვალნათლად წარმოაჩინონ, რათა ცირკულარობის პრინციპების გამოყენება სრულად მოხდეს და ცირკულარული ბიზნესმოდელები საუკეთესო ვარიანტად იქცეს კომპანიებისათვის, რომლებიც მზად არიან კონკურენტული უპირატესობა იმგვარად მოიპოვონ და თავიანთი ბაზარი ისე შეინარჩუნონ, რომ მათი მიზნები საზოგადოებრივ მიზნებთან იყოს თანხვედრაში.

ცირკულარული ეკონომიკა მხოლოდ რჩეულთა პასუხისმგებლობას არ განეკუთვნება. მდგრადი მომავლის შექმნაში მონაწილეობის უფლება ყველა ჩვენგანს აქვს. ცირკულარული ეკონომიკის შესახებ განათლების მიზანი ცირკულარული ეკონომიკის საკითხების მცოდნე სპეციალური ექსპერტების მომზადება არ არის. მომავალში ყველა ჩვენთაგანს დაგვჭირდება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებისა და საფუძვლების სიღრმისეული ცოდნა და ჩვენს პროფესიულ სფეროში ცირკულარული გადაწყვეტილებების დანერგვა.

მიმდინარე პროგრამა, რომელსაც შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებს, მიზნად ისახავს ცირკულარული ეკონომიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის რეკომენდაციების მიწოდებას. ამ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული მე-6 კონფერენციის ამოცანაა საქართველოს უნივერსიტეტებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის რეკომენდაციების მიწოდება, როგორ შეიძლება სასწავლო პროგრამებში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინება და ცირკულარული ეკონომიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლება.